 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2012 წლის 5 სექტემბრის  
 № 740 დადგენილებით  
**მოდულიზებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 № 01-05-04/214  
 05.09.2018  
 დადგენილებით

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა**

**პროგრამის სახელწოდება**

მშენებლობა
Construction

**ფაკულტეტი**

სამშენებლო
Civil Engineering

**პროგრამის ხელმძღვანელი**

პროფესორი ფატიმა ვერულაშვილი
------------------------------

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში (Engineering bachelor in construction) მიენიჭება ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 220 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების არანაკლებ 20 კრედიტის ათვისების შემთხვევაში
--

**სწავლების ენა**

რუსული
--------

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

<p>ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>ასევე სწავლის უფლება ეძლევა პირს, რომელიც ფლობს ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ კონკრეტულ პროგრამას, არა ნაკლებ B1 დონის ან უზრუნველყოფილი საერთაშორისო სერტიფიკატით TOEFL The (Test of Russian as a Foreign Language) სერტიფიცირების II დონე (რომელიც შესაბამისობაშია B1 ევროპული ALTE ტესტის სისტემასთან) რუსული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენიდან თავისუფლდება პირი, რომელმაც დაამთავრა ან გაიარა და დაასრულა კურსი/შეისწავლა რუსული ენა, რომელიც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ენის შემსწავლელი პროგრამით, როგორც მშობლიურის. ასეთი სერტიფიკატის ან სხვა რელევანტური საბუთის არ არსებობის შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას რუსულ ენაში. გასაუბრებას ახორციელებს კომისია, რომელიც შედგება მოცემული საგნის სპეციალისტებისგან -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებისგან.</p>
--

## პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით, 1 კრედიტი 25 საათს უდრის და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. საბაკალავრო - საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტი ითვისებს არანაკლებ 240(ECTS) კრედიტს. სტუდენტის მიერ ასათვისებელი კრედიტების წლიური ჯამური რაოდენობა ა) დასაშვებია აღემატებოდეს 60 ECTS კრედიტს, ბ) დასაშვებია იყოს 60 ECTS კრედიტზე ნაკლები, გ) არაა დაშვებული გადააჭრბოს 3/75 ECTS კრედიტს.

პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 4 წლით (8 სემესტრი)

სემესტრი მოიცავს 20 კვირას

სასწავლო კვირის რაოდენობაა 15.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები და შუასემესტრულ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი. თუ შუასემესტრული შეფასების და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამურმა ქულამ შეადგინა 41-50 (FX შეფასება - ვერ ჩააბარა), 51 ან მეტი, სტუდენტს უფლება აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების ქულა არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასების ქულას. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას. შეფასების თითოეულ კომპონენტს გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და ასევე გაწერილია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

პირველი სემესტრი: უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) საინჟინრო მათემატიკა 1; ფიზიკა 1.1; ქიმია ; პროგრამირების საფუძვლები; გეოდეზია 1;

მეორე სემესტრი: ჰუმანიტარული არჩევითი ბლოკი (საქართველოს ისტორია, ფილოსოფიის საფუძვლები, პოლიტოლოგია, კულტუროლოგია, ზოგადი სოციოლოგია, შესავალი ფსიქოლოგიაში); მხაზველობითი გეომეტრია; სამშენებლო ხაზვა; უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული); გეოდეზია 2; საინჟინრო მათემატიკა 2; ფიზიკა 2.2; თეორიული მექანიკა-სტატიკა; საინჟინრო გეოლოგია და გრუნტების მექანიკა;

მესამე სემესტრი: გარემოს დაცვა და ეკოლოგია ფუმე-სამირკვლები კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა; თეორიული მექანიკა დინამიკა; მასალათა გამძლეობა 1 საინჟინრო მათემატიკა 3; სამშენებლო მასალები 1.

მეოთხე სემესტრი: მასალათა გამძლეობა 2; ჰიდრაულიკა; არქიტექტურის საფუძვლები; სამშენებლო მასალები 2; სამშენებლო მექანიკა; სტატისტიკური მეთოდები მშენებლობაში ; თბოაირმომარაგება და ვენტილაცია;

მეხუთე სემესტრი: წყალმომარაგება და წყალარინება; სამშენებლო მანქანები და ავტომატიზაციის საფუძვლები; სამშენებლო საფუძვლების საფუძვლები; წყალმომღები ნაგებობები; სამშენებლო კონსტრუქციები; შრომის დაცვა მშენებლობაში;

მექვსე სემესტრი: მართვის საფუძვლები მშენებლობაში; შენობების სეისმომდეგობა; ჰიდროტექნიკური მშენებლობის საფუძვლები; შენობის სანტექნიკური მოწყობილობები; სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზა; შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგიები;

მეშვიდე სემესტრი: სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია; ლითონის კონსტრუქციები; შენობა-ნაგებობების დაპროექტება რკინაბეტონის კონსტრუქციებით; ხისა და პლასტმასის კონსტრუქციები;; დასახლებული პუნქტების წყალმომარაგება; წყლის ქიმია და მიკრობიოლოგია; ტუმბოები და სატუმბო სადგურები; დასახლებული პუნქტების წყალარინება; წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია;

ნაგებობათა ჰიდრაულიკა; ჰიდრაულიკური სამუშაოების წარმოება; ჰიდროგეოლოგია და ჰიდრომეტრია; საინჟინრო მელიორაცია.

მერვე სემესტრი: შენობა ნაგებობების გამოკვლევა-გამოცდა; შენობა ნაგებობების აღდგენა-გამლიერება; სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წყალმომარაგება; ჰიდროელექტროსადგურები; ნაგებობათა

ჰიდრაულიკა;  
არჩევითი საგნები - (თავისუფალი კომპონენტები)  
საბაკალავრო პროექტი

### პროგრამის მიზანი

- მოამზადოს სამშენებლო, საპროექტო და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის დარგის მაღალი დონის ცოდნის მქონე სპეციალისტი, რომელიც მყარი ბაზისური ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტაციას.
- შეასწავლოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სამშენებლო-საპროექტო საქმიანობის ძირითადი ამოცანების შესრულების მეთოდები და მექანიზმები საყოველთაოდ აღიარებული სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.
- შეასწავლოს შენობა-ნაგებობების დაპროექტების პროცესში, მშენებლობაში გასათვალისწინებელი რისკ-ფაქტორები, რათა შეძლოს დარგთან დაკავშირებული პრობლემების კრიტიკული გააზრება, სათანადო დოკუმენტების მომზადება, დასაბუთებულად და საიმედოდ გადაჭრა.
- შეასწავლოს მშენებლობაში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის კვლევითი პროექტის განხორციელების წესები, სამეცნიერო კვლევის საფუძვლები.
- მისცეს კარგად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდილების შექმნის შესაძლებლობები.
- ჩამოუყალიბოს შესაბამის ფორმატში პროფესიული კომუნიკაციის უნარი.
- მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და აქტივობის სპეციალისტი ღირსეული კარიერისათვის, რომელიც მოტივირებული იქნება მეტს მიაღწიოს პროფესიული თვალსაზრისით
- მოახდინოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების საშუალებით სტუდენტის მოტივაციის, თვით-რეფლექციისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის სტიმულირების ამაღლება.

### სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

**ცოდნა და გაცნობიერება** – კურსდამთავრებულს აქვს:

- მშენებლობისა და პროექტირების საბაზო კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების ცოდნა;
- სამშენებლო სამუშაოების გარემოსთან მიმართებაში უვნებლად და უსაფრთხოდ წარმართვის ცოდნა;
- შესაბამისი მათემატიკური მეთოდების, პრინციპების, თეორიებისა და ბუნებისმეტყველების საფუძვლების ცოდნა საინჟინრო პრობლემების გადასაჭრელად;
- სამშენებლო სფეროს, მისი მრავალმხრივი და სპეციალიზირებული ტექნოლოგიური პროცესების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – კურსდამთავრებულს აქვს:

- სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით მშენებლობისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით სამუშაოთა წარმართვის უნარი;
- სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების, ასევე ჰიდროტექნიკური, წყალმომღები და წყალარინების ნაგებობების ელემენტების კონსტრუირების უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- მშენებლობაში გამოყენებული თანამედროვე სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების შერჩევის და შეფასების უნარი;
- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მშენებლობის მართვის უნარი;
- მშენებლობისათვის დამახასიათებელი საერთო პრობლემების იდენტიფიცირების, ფორმულირებისა და გადაჭრის უნარი;

**დასკვნის უნარი**—კურსდამთავრებულს აქვს:

- სამშენებლო დარგში გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობის, სიტუაციათა შედარების, სტანდარტული მეთოდებით მათი გაანალიზებისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
- სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი;
- შენობა-ნაგებობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საგზაო, სატრანსპორტო და რკინიგზის ნაგებობების პროექტირებაში მონაწილეობისა და კომპეტენციის ფარგლებში დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

**კომუნიკაციის უნარი**- კურსდამთავრებულს აქვს:

- სამშენებლო სფეროში ქართულ და უცხოურ ენაზე იდებების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების, ინფორმაციის დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი;
- დარგის სპეციალისტებთან მკაფიოდ და დეტალურად სხვადასხვა თემებზე დისკუსიაში მონაწილეობის მიღების უნარი;
- სამშენებლო ტერმინოლოგიის გამოყენებით საქმიანი დოკუმენტების შედგენის უნარი;
- სამშენებლო საქმეში, აზრებისა და შეხედულებების წერილობით ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად არგუმენტების მოყვანის უნარი.

**სწავლის უნარი:**

- აქვს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების უნარი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვას, მიღებული ცოდნის საშუალებით დამოუკიდებლად სწავლის პროცესის გაგრძელებას განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა).

**ღირებულებები :**

- აქვს ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით მოქმედების უნარი;
- ითავსებს მშენებლის პროფესიულ და ეთიკურ პასუხისმგებლობას როგორც საკუთარ, ასევე საზოგადოების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, ესთეტიკურ ღირებულებებზე;
- ითავსებს ეკოლოგიური სისტემების პატივისცემისა და გარემოს დაცვის ვალდებულებებს და იღწვის მათ დასამკვიდრებლად;
- აქვს პროფესიული ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვა) დაცვის უნარი.

**სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები**

- ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული
- პრაქტიკა  საკურსო სამუშაო/პროექტი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უფითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**თანამშრომლობითი სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ

დაეუფლება საკითხს.

**ჯგუფური მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

**ვერისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**შემთხვევების შესწავლა** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში – კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

**გონებრივი იერიში** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

**ინდუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

**წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და

ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

**ლაბორატორიული აკტივობა** უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. 2 ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა. გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

**პრაქტიკული აკტივობა** დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე, ნახაზების, ესკიზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე და სხვ.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამდლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმების და სკალების აღწერა ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში.



**დასაქმების სფერო**

კურსდამთავრებული დასაქმებული იქნება სამოქალაქო და სამრეწველო შენობებისა და ნაგებობების მშენებლობებზე, ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობებზე, სამშენებლო საპროექტო-საკონსტრუქტორო ფირმებში, მერიის ზედამხედველობის, არქიტექტურის სამსახურში, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამსახურებში, იურიდიულ ფირმებში, საქართველოს ქალაქების და დასახლებული ადგილების წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების წყლის გამწმენდ სადგურებში, ქალაქის მუნიციპალიტეტების კომუნალურ სამსახურებში, წყალმომარაგება-წყალარინების პროფილის საპროექტო ორგანიზაციებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებულ სამსახურებში. (კურსდამთავრებული დასაქმდება მინიჭებული ბაკალავრის კვალიფიკაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ პოზიციებზე).

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში

**თანდართული სილაბუსების რაოდენობა:90**

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობები	ECTS კრედიტი/საათი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1.	<b>უცხოური ენა</b>		<b>3</b>							
	1.1. ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს								
	1.2. ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს								
	1.3. გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	არ აქვს								
2.	საინჟინრო მათემატიკა 1	არ აქვს	<b>5</b>							
3.	ფიზიკა 1.1	არ აქვს	<b>5</b>							
4.	ზოგადი ქიმია	არ აქვს	<b>5</b>							
5.	პროგრამირების საფუძვლები	არ აქვს	<b>6</b>							
6.	გეოდეზია - 1	არ აქვს	<b>3</b>							
7.	<b>სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები</b>			<b>3</b>						
	7.1 საქართველოს ისტორია	არ აქვს								
	7.2 ფილოსოფიის საფუძვლები	არ აქვს								
	7.3 პოლიტოლოგია	არ აქვს								
	7.4 კულტუროლოგია	არ აქვს								
	7.5 ზოგადი სოციოლოგია	არ აქვს								

№	საგანი	დაშვების წინაპირობები	ECTS კრედიტი/საათი																
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი										
			სემესტრი																
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII									
	7.6 შესავალი ფსიქოლოგიაში	არ აქვს																	
	7.7 ტექნიკური დიზაინის ისტორია	არ აქვს																	
8.	მხაზველობითი გეომეტრია	არ აქვს	<b>3</b>																
9.	სამშენებლო ხაზვა	მხაზველობითი გეომეტრია		<b>3</b>															
10.	<b>უცხოური ენა</b>			<b>3</b>															
	10.1 ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობისთვის -2	ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობისთვის ს -1																	
	10.2 ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობისთვის - 2	ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობისთვის ს - 1																	
	10.3 გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობისთვის -2	გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობისთვის ს -1																	
11.	გეოდეზია 2	გეოდეზია -1		<b>3</b>															
12.	საინჟინრო მათემატიკა 2	საინჟინრო მათემატიკა 1		<b>5</b>															
13.	ფიზიკა 2.1	ფიზიკა 1.1		<b>5</b>															
14.	თეორიული მექანიკა-სტატიკა	საინჟინრო მათემატიკა 1, ფიზიკა 1.1		<b>5</b>															
15.	საინჟინრო გეოლოგია და გრუნტების მექანიკა	საინჟინრო მათემატიკა 1		<b>3</b>															
16.	გარემოს დაცვა და ეკოლოგია	არ აქვს			<b>3</b>														
17.	ფუმე-სადირკვლები	საინჟინრო გეოლოგია და გრუნტების მექანიკა			<b>5</b>														
18.	საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა	სამშენებლო ხაზვა, დაპროგრამების საფუძვლები			<b>4</b>														
19.	თეორიული მექანიკა-დინამიკა	თეორიული მექანიკა - სტატიკა			<b>5</b>														
20.	მასალათ გამძლეობა -1	ფიზიკა 2.1 თეორიული მექანიკა-სტატიკა			<b>5</b>														
21.	საინჟინრო მათემატიკა 3	საინჟინრო მათემატიკა 2;			<b>5</b>														
22.	საშენი მასალები-1	ფიზიკა-2.1			<b>3</b>														

№	საგანი	დაშვების წინაპირობები	ECTS კრედიტი/საათი										
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი				
			სემესტრი										
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII			
		ზოგადი ქიმია											
23.	მასალათ გამძლეობა-2	მასალათ გამძლეობა -1				4							
24.	ჰიდრავლიკა	თეორიული მექანიკა- დინამიკა				5							
25.	არქიტექტურის საფუძვლები	არ აქვს				4							
26.	საშენი მასალები-2	ფიზიკა-2.1 ზოგადი ქიმია				3							
27.	თბოგაზომარაგება და ვენტილაცია	ფიზიკა-2.1				5							
28.	სამშენებლო მექანიკა	საინჟინრო მათემატიკა-2				5							
29.	სტატისტიკური მეთოდები მშენებლობაში	საინჟინრო მათემატიკა 1				4							
30.	წყალმომარაგება და წყალარინება	ჰიდრავლიკა						5					
31.	სამშენებლო მანქანები და ავტომატიზაციის საფუძვლები	საშენი მასალები 2						5					
32.	სამშენებლო წარმოების საფუძვლები	არ აქვს						5					
33.	წყალმიმღები ნაგებობები	ჰიდრავლიკა						5					
34.	სამშენებლო კონსტრუქციები	მასალათა გამძლეობა - 2						5					
35.	უსაფრთხოება მშენებლობაში	არ აქვს						5					
36.	მართვის საფუძვლები მშენებლობაში	არ აქვს							5				
37.	ნაგებობების სეისმომედეგობა	სამშენებლო მექანიკა							5				
38.	ჰიდროტექნიკური მშენებლობის საფუძვლები	ფიზიკა 2.1 სამშენებლო მექანიკა.							5				
39.	შენობის სანტექნიკური მოწყობილობები	ჰიდრავლიკა							5				
40.	სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა	სამშენებლო კონსტრუქციები							5				
41.	შენობების და ნაგებობების აგების ტექნოლოგია	საშენი მასალები 2							5				
	<b>სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი</b>										20	10	
42.	სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია	საშენი მასალები 2									5		
43.	ლითონის კონსტრუქციები	სამშენებლო მექანიკა									5		

№	საგანი	დაშვების წინაპირობები	ECTS კრედიტი/საათი										
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი				
			სემესტრი										
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII			
		სამშენებლო კონსტრუქციები											
44.	შენობების და ნაგებობების პროექტირება რკინაბეტონის კონსტრუქციებით	სამშენებლო მექანიკა									5		
45.	ხის და პლასტმასის კონსტრუქციები	სამშენებლო მექანიკა ; სამშენებლო კონსტრუქციები									5		
46.	შენობა-ნაგებობათა გამოკვლევა- გამოცდა	სამშენებლო კონსტრუქციები										5	
47.	შენობების და ნაგებობების აღდგენა-გამლიერება	სამშენებლო კონსტრუქციები										5	
48.	დასახლებული პუნქტების წყალმომარაგება	წყალმომარაგება და წყალარინება.									5		
49.	სამრეწველო და სასოფლო- სამეურნეო წყალმომარაგება	წყალმომარაგება და წყალარინება.										5	
50.	წყლის ქიმია და მიკრობიოლოგია	ზოგადი ქიმია									5		
51.	ტუმბოები და სატუმბო სადგურები	ჰიდრავლიკა. წყალმომარაგება და წყალარინება.									5		
52.	დასახლებული პუნქტების წყალმომარაგება	წყალმომარაგება და წყალარინება.									5		
53.	წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია	წყალმომარაგება და წყალარინება.										5	
54.	ნაგებობების ჰიდრავლიკა	მასალათა გამძლეობა 2, ჰიდრავლიკა									5		
55.	ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა წარმოება	საშენი მასალები 2, სამშენებლო კონსტრუქციები										5	
56.	ჰიდროელექტროსადგურები	საინჟინრო მათემატიკა 3									5		
57.	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	ჰიდრავლიკა									5		
58.	ჰიდროლოგია და ჰიდრომეტრია	ჰიდრავლიკა									5		
59.	საინჟინრო მელიორაცია	ჰიდრავლიკა										5	
60.	საბაკალავრო პროექტი	ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების არანაკლებ 120											10

№	საგანი	დაშვების წინაპირობები	ECTS კრედიტი/საათი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
		კრედიტისა								
	<b>თავისუფალი კომპონენტები</b>								10	10
61.	კონსტრუქციების დაზიანების დიაგნოსტიკა	არ აქვს								
62.	წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა	არ აქვს								
63.	მშენებლობის ეკონომიკა	არ აქვს								
64.	წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ავტომატიზაციის საფუძვლები	არ აქვს								
65.	შენობა-ნაგებობების არქიტექტურა	არ აქვს								
66.	სამშენებლო კომპიუტერული პროგრამები	არ აქვს								
67.	ინფორმატიკის საფუძვლები	არ აქვს								
68.	ჰიდროგეოლოგია	არ აქვს								
69.	წყლის მიწოდებისა და განაწილების სისტემები	არ აქვს								
70.	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	არ აქვს								
71.	ელექტროტექნიკის საფუძვლები	არ აქვს								
72.	სამშენებლო წარმოების მართვა და ორგანიზაცია	არ აქვს								
73.	ქართული ენა	არ აქვს								
74.	ჰიდროტექნიკური და სამშენებლო კონსტრუქციების თბური რეჟიმები	არ აქვს								
75.	წყლის ეკოლოგია	არ აქვს								
76.	ბუნებრივი წყლის გაწმენდა	არ აქვს								
77.	სპეციალური დანიშნულების ნაგებობების პროექტირების საფუძვლები	არ აქვს								
78.	წყლის გზებისა და პორტების ჰიდრონაგებობები	არ აქვს								
79.	მიწისქვეშა ჰიდროტექნიკური ნაგებობები	არ აქვს								
80.	ჩამდინარე წყლების გაწმენდა და გაყვანა	არ აქვს								
		<b>სემესტრში</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>
		<b>წელიწადში</b>	<b>60</b>		<b>60</b>		<b>60</b>		<b>60</b>	
		<b>სულ</b>	<b>240</b>							

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	<b>უცხოური ენა</b>						
	1.1. ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	X	X		X	X	
	1.2. ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	X	X		X	X	
	1.3. გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	X	X		X	X	
2.	საინჟინრო მათემატიკა 1	X	X			X	
3.	ფიზიკა 1.1	X		X	X		
4.	ზოგადი ქიმია	X	X		X	X	
5.	პროგრამირების საფუძვლები	X	X			X	
6.	გეოდეზია - 1	X	X	X			
7.	<b>სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები</b>						
	7.1 საქართველოს ისტორია	X	X	X	X		X
	7.2 ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	X			X
	7.3 პოლიტოლოგია	X	X	X			X
	7.4 კულტუროლოგია	X	X	X	X	X	X
	7.5 ზოგადი სოციოლოგია	X	X	X			
	7.6 შესავალი ფსიქოლოგიაში	X	X	X		X	
	7.7 ტექნიკური დიზაინის ისტორია	X		X			X
8.	მხაზველობითი გეომეტრია	X	X			X	
9.	სამშენებლო ხაზვა	X	X			X	
10.	<b>უცხოური ენა</b>						
	10.1 ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობისთვის -2	X	X		X	X	X
	10.2 ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობისთვის - 2	X	X		X	X	X
	10.3 გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობისთვის - 1	X	X		X	X	X
11.	გეოდეზია 2	X	X	X			
12.	საინჟინრო მათემატიკა 2	X	X			X	
13.	ფიზიკა 2.1	X		X	X		
14.	თეორიული მექანიკა-სტატიკა	X	X	X		X	
15.	საინჟინრო გეოლოგია და ფუძე-სადირკვლები	X	X	X			
16.	გარემოს დაცვა და ეკოლოგია	X	X				X
17.	ფუძე-სადირკვლები	X	X	X			
18.	საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა	X	X			X	
19.	თეორიული მექანიკა-დინამიკა	X	X	X		X	
20.	მასალათ გამძლეობა -1	X	X	X		X	
21.	საინჟინრო მათემატიკა 3	X	X			X	
22.	საშენი მასალები-1	X	X	X		X	
23.	მასალათ გამძლეობა-2	X	X	X		X	
24.	ჰიდრაულიკა	X	X	X			

25.	არქიტექტურის საფუძვლები	X	X	X	X	X	
26.	საშენი მასალები-2	X	X	X		X	
27.	თბოგაზომომარაგება და ვენტილაცია	X	X	X	X		
28.	სამშენებლო მექანიკა	X	X	X			
29.	სტატისტიკური მეთოდები მშენებლობაში	X	X	X			
30.	წყალმომარაგება და წყალარინება	X	X	X	X		
31.	სამშენებლო მანქანები და ავტომატიზაციის საფუძვლები	X	X	X			
32.	სამშენებლო წარმოების საფუძვლები	X	X			X	
33.	წყალმიღები ნაგებობები	X	X	X			
34.	სამშენებლო კონსტრუქციები	X	X	X			
35.	უსაფრთხოება მშენებლობაში	X	X	X			
36.	მართვის საფუძვლები მშენებლობაში	X	X	X			
37.	ნაგებობების სეისმომედეგობა	X	X	X		X	X
38.	ჰიდროტექნიკური მშენებლობის საფუძვლები	X	X	X			
39.	შენობის სანტექნიკური მოწყობილობები	X	X			X	
40.	სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა	X	X	X	X		
41.	შენობების და ნაგებობების აგების ტექნოლოგია	X	X	X			
	<b>სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი</b>						
42.	სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია	X	X	X			
43.	ლითონის კონსტრუქციები	X	X	X	X		
44.	შენობების და ნაგებობების პროექტირება რკინაბეტონის კონსტრუქციებით	X	X	X	X		
45.	ხის და პლასტმასის კონსტრუქციები	X	X	X	X		
46.	შენობა-ნაგებობათა გამოკვლევა-გამოცდა	X	X			X	
47.	შენობების და ნაგებობების აღდგენა-გამდიერება	X	X	X		X	
48.	დასახლებული პუნქტების წყალმომარაგება	X	X	X	X	X	
49.	სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგება	X	X	X			
50.	წყლის ქიმია და მიკრობიოლოგია	X	X	X	X		
51.	ტუმბოები და სატუმბო სადგურები	X	X	X			
52.	დასახლებული პუნქტების წყალმომარაგება	X	X	X			
53.	წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია	X	X	X			
54.	ნაგებობების ჰიდრავლიკა	X	X	X			
55.	ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა წარმოება	X	X	X	X		
56.	ჰიდროელექტროსადგურები	X	X	X			
57.	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	X	X	X			
58.	ჰიდროლოგია და ჰიდრომეტრია	X	X				X
59.	საინჟინრო მელიორაცია	X	X	X			
60.	საბაკალავრო პროექტი	X	X	X	X	X	X
	<b>თავისუფალი კომპონენტები</b>						
61.	კონსტრუქციების დაზიანების დიაგნოსტიკა	X	X	X	X		
62.	წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა	X	X		X		
63.	მშენებლობის ეკონომიკა	X	X	X			
64.	წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ავტომატიზაციის საფუძვლები	X	X		X		

65.	შენობა-ნაგებობების არქიტექტურა	X	X	X	X	X		
66.	სამშენებლო კომპიუტერული პროგრამები	X	X	X				
67.	ინფორმატიკის საფუძვლები	X	X				X	
68.	ჰიდროგეოლოგია	X	X	X				
69.	წყლის მიწოდებისა და განაწილების სისტემები	X	X	X	X			
70.	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	X	X	X	X	X		
71.	ელექტროტექნიკის საფუძვლები	X	X	X			X	
72.	სამშენებლო წარმოების მართვა და ორგანიზაცია	X	X	X				
73.	ქრთული ენა	X	X			X	X	
74.	ჰიდროტექნიკური და სამშენებლო კონსტრუქციების თბური რეჟიმები	X	X	X				
75.	წყლის ეკოლოგია	X	X					X
76.	ბუნებრივი წყლის გაწმენდა	X	X	X				
77.	სპეციალური დანიშნულების ნაგებობების პროექტირების საფუძვლები	X	X				X	
78.	წყლის გზებისა და პორტების ჰიდრონაგებობები	X	X				X	
79.	მიწისქვეშა ჰიდროტექნიკური ნაგებობები	X	X	X				
80.	ჩამდინარე წყლების გაწმენდა და გაყვანა	X	X				X	

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	<b>უცხოური ენა</b>											
	LEH12012R2	1.1. ფრანგული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75		30					1	1	43
	LEH11812R2	1.2. ინგლისური ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75		30					1	1	43
	LEH11612R2	1.3. გერმანული ენა ტექნიკური სპეციალობებისათვის - 1	3/75		30					1	1	43
2.	MAS30908R1	საინჟინრო მათემატიკა 1	5/125	15	30					1	2	77
3.	PHS55408R1	ფიზიკა 1.1	5/125	15		30				1	2	77
4.	PHS10104R1	ზოგადი ქიმია	5/125	15		30				1	1	78
5.	ICT10601R2	პროგრამირების საფუძვლები	6/150	15	15	30				1	1	88
6.	PHS44003R1	გეოდეზია - 1	3/75	15		15				1	1	43





		საფუძვლები											
33.	AAC42301R2	წყალმიმღები ნაგებობები	5/125	15	30				1	1	78		
34.	AAC31701R2	სამშენებლო კონსტრუქციები	5/125	15	30				1	1	78		
35.	HHS20503R1	უსაფრთხოება მშენებლობაში	5/125	30	15				1	1	78		
36.	AAC30701R2	მართვის საფუძვლები მშენებლობაში	5/125	15	30				1	1	78		
37.	EET77301R2	ნაგებობების სეისმომედეგობა	5/125					45	1	1	78		
38.	AAC97201R1	ჰიდროტექნიკური მშენებლობის საფუძვლები	5/125	30	15				1	1	78		
39.	AAC42601R2	შენობის სანტექნიკური მოწყობილობები	5/125	15	30				1	1	78		
40.	AAC07201R1	სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა	5/125	15	15			15	1	1	78		
41.	AAC97301R1	შენობების და ნაგებობების აგების ტექნოლოგია	5/125	15	15			15	1	1	78		
<b>სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი</b>													
42.	AAC03/7501R1	სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია	5/125	15	30				1	1	78		
43.	AAC07601R1	ლითონის კონსტრუქციები	5/125	15	15			15	1	1	78		
44.	AAC31601R2	შენობების და ნაგებობების პროექტირება რკინაბეტონის კონსტრუქციებით	5/125	15		15		15	1	2	77		
45.	AAC31001R2	ხის და პლასტმასის კონსტრუქციები	5/125	15		15		15	1	2	77		
46.	AAC31101R2	შენობა-ნაგებობათა გამოკვლევა-გამოცდა	5/125	15		30			1	1	78		
47.	AAC07701R1	შენობების და ნაგებობების აღდგენა-გადლიერება	5/125	15	15			15	1	1	78		
48.	AAC98701R1	დასახლებული პუნქტების წყალმომარაგება	5/125	15	15			15	1	1	78		
49.	AAC41001R2	სამრეწველო და სასოფლო- სამეურნეო წყალმომარაგება	5/125	15				30	1	1	78		
50.	AAC93/7501R1	წყლის ქიმია და მიკრობიოლოგია	5/125	15		30			1	1	78		
51.	AAC41101R2	ტუმბოები და სატუმბო სადგურები	5/125	15	15			15	1	1	78		
52.	AAC41201R2	დასახლებული პუნქტების წყალმომარაგება	5/125	15				30	1	1	78		
53.	AAC41301R2	წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია	5/125	30	15				1	1	78		
54.	AAC98001R1	ნაგებობების ჰიდრავლიკა	5/125	15	30				1	1	78		
55.	AAC98101R1	ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა წარმოება	5/125	15	30				1	1	78		
56.	AAC94901R1	ჰიდროელექტროსადგურები	5/125	15	15			15	1	1	78		
57.	AAC95001R1	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	5/125	15	15			15	1	1	78		
58.	AAC95101R1	ჰიდროლოგია და ჰიდრომეტრია	5/125	30	15				1	1	78		

59.	AAC95201R1	საინჟინრო მელიორაცია	5/125	15				30	1	1	78
60.	AAC08501R1	საბაკალავრო პროექტი	10/250				45	30	2	2	173
<b>თავისუფალი კომპონენტები</b>											
61.	AAC30801R2	კონსტრუქციების დაზიანების დიაგნოსტიკა	5/125	15			30		1	1	78
62.	AAC95301R1	წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა	5/125	15		30			1	1	78
63.	SOS10601R2	მშენებლობის ეკონომიკა	5/125	15	30				1	1	78
64.	AAC98201R1	წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ავტომატიზაციის საფუძვლები	5/125	30		15			1	1	78
65.	AAC17406R1	შენობა-ნაგებობების არქიტექტურა	5/125	15				30	1	1	78
66.	ICT32201R2	სამშენებლო კომპიუტერული პროგრამები	5/125	15			30		1	1	78
67.	ICT13301R2	ინფორმატიკის საფუძვლები	5/125	15			30		1	1	78
68.	PHS72401R1	ჰიდროგეოლოგია	5/125	30			15		1	1	78
69.	AAC95401R1	წყლის მიწოდებისა და განაწილების სისტემები	5/125	15		15		15	1	1	78
70.	SOS11413R1	ეკონომიკური თეორიის საფუძვლები	5/125	15	30				2	2	76
71.	EET40202R1	ელექტროტექნიკის საფუძვლები	5/125	15			30		1	1	78
72.	AAC95501R1	სამშენებლო წარმოების მართვა და ორგანიზაცია	5/125	15		30			1	1	78
73.	LEH10512R3	ქართული ენა	5/125				45		1	1	78
74.	AAC96101R1	ჰიდროტექნიკური და სამშენებლო კონსტრუქციების თბური რეჟიმები	5/125	30		15			1	1	78
75.	AAC95601R1	წყლის ეკოლოგია	5/125	15		30			1	1	78
76.	AAC95701R1	ბუნებრივი წყლის გაწმენდა	5/125	15		30			1	1	78
77.	AAC07801R1	სპეციალური დანიშნულების ნაგებობების პროექტირების საფუძვლები	5/125	15		30			1	1	78
78.	AAC96001R1	წყლის გზებისა და პორტების ჰიდრონაგებობები	5/125	30		15			1	1	78
79.	AAC95901R1	მიწისქვეშა ჰიდროტექნიკური ნაგებობები	5/125	30		15			1	1	78
80.	AAC95801R1	ჩამდინარე წყლების გაწმენდა და გაყვანა	5/125	15		30			1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი

ფატიმა ვერულაშვილი

სამშენებლო ფაკულტეტის  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარინა ჯავახიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

დავით გურგენიძე

**მიღებულია**

სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2012 წლის 5 სექტემბრის  
№ 740 დადგენილებით

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

**მოდირიგირებულია**

სამშენებლო  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
№ 28 17.07.2018  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

დავით გურგენიძე